ადამიანური რესურსების თანამედროვე მიდგომების როლი კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში

თამარ ნოზაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ ნოზაძე

თ.ნოზაძე, 15.06.2023

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი იკვლევს ადამიანური რესურსების თანამედროვე მიდგომებს და მათ გავლენას კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. კვლევის მიზანია დადგინდეს თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანური რესურსების მართვის როლი და სტრატეგიული ინოვაციები, კომპანიის კონტურენტუნარიანობის გაზრდას. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს შერჩევა, დატრენინგება და განვითარება, მენეჯმენტი, ჩართულობა თუ ორგანიზაციული კულტურა. დღევანდელ სწრაფად განვითარებად ცხოვრებაში ბიზნესები ეძებენ ინოვაციურ მიდგომებს და სტრატეგიებს, იმისათვის, რომ ბაზარზე შეინარჩუნონ უპირატესობა. ადამიანური რესურსების საქმიანობა დროთა განმავლობაში განვითარდა და მოიცვა ინოვაციური სტრატეგიები, რომელიც კომპანიებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში ეხმარება. მოცემულ კვლევაში გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვით, ასევე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზით ვრწმუნდებით, რომ სწორად განსაზღვრული და მუდმივად განვითარებადი ადამიანური რესურსების სტრატეგიებით კომპანიას ნამდვილად შეუძლია კონკურენტუნარიანობის მოპოვება და გაძლიერება. თვისებრივი კვლევის, სიღრმისეული ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა დაასახელეს ის ფუნდამენტური სტრატეგიები და მიდომები, რომელიც მნიშვნელოვანია კომპანიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის და კონკურენტუნარიანობისათვის. კადრების სწორად შერჩევა, მათი მენეჯმენტი, განვითარება და შემდგომი შენარჩუნება ის ძირეული საკითხებია, რომლის გამოწვევის წინაშეც დღეს ადამიანური რესურსების მენეჯერები დგანან, იმისათვის რომ ბაზარზე შეინარჩუნონ და არ დაკარგონ ლიდერის სტატუსი. ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა თითოეული დასაქმებულის აზრის გაგება, სადაც თვალნათლად გამოჩნდა, რომ ადამაინური რესურსების დეპარტამენტი და მისი ფუნქციონირება საციცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია ბიზნეს სამყაროსთვის. დასკვნაში კი შეჯამებულია

ადამიანური რესურსების პრაქტიკის და მიდგომების თანხვედრის აუცილებლობა კომპანიის საერთო სტრატეგიებისათვის და კონკურენტუნარიაობისათვის.

საკვანძო სიტყვები: ადამიური რესურსების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსები, ინოვაციურობა, ადამიანური რესტურსების სტრატეგიები, კონკურენტუნარიანობა.

Abstract

This thesis examines the modern approaches of human resource management and its impact on inscreasing company's competitiveness. The purpose of the study is to determine how the role of human resource management and strategic innovation contributes to increase company's competitive advantage. whether it is selection, training and development, management, engagement, or organizational culture. Businesses are looking for innovative approaches and strategies to stay ahead in today's fast paced lifestyle. Human resources activities have evolved over the time including innovative strategies that help companies to gain a competitive advantage. Reviewing the scientific literature, which one is used in this study, as well as by analyzing the results of qualitative and quantitative research, we are convinced that with correctly defined and constantly developing human resources strategies, the company can really gain and strengthen competitiveness. During the qualitative research, in-depth interviews, the respondents identify the fundamental strategies and approaches that are important for the company's full-scale operation and competitiveness. The correct selection of personnel, their management, development, and further maintenance are the fundamental issues that human resources managers face today to maintain and not lose their leadership status. And the quantitative research, through it, it was possible to understand the opinion of each employee, where it was clearly seen that the human resources department and its operation is a carrier of vital importance for the business world. The conclusion summarizes the need to align human resources practices and approaches for the company's overall strategies and competitiveness.

Keywords: human resources management, human resources, innovation, human resources strategies, competitiveness.